



საკონკურსო დოკუმენტაცია

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი რიგი ორგანიზაციების ადმინისტრაციული შენობების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის (ლანდშაფტური დიზაინი, გარე განათება, პარკირების ნიშნულები, მოსაფალტება) მიზნით შესაბამისი არქიტექტურული კონცეფციის (პროექტის) შექმნისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა

CPV კოდი - 71222000 - არქიტექტურული მომსახურებები შენობის გარეთ განთავსებული ფართობებისათვის

საკონკურსო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი

2014 წელი

საკონკურსო განცხადება

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო აცხადებს კონკურსს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი რიგი ორგანიზაციების ადმინისტრაციული შენობების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის მიზნით შესაბამისი არქიტექტურული კონცეფციის (პროექტის) შექმნისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანს წარმოადგენს ქ. თბილისში მარშალ გელოვანის გამზირი N6-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობების მიმდებარე ტერიტორიებისა და ავტომაქანების განსათავსებელი ნიშნულების კეთილმოწყობის (ლანდშაფტური დიზაინი, გარე განათება, პარკირების ნიშნულები, მოასფალტება) საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციისა (პროექტის) და ესკიზის გამოვლენა და შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 30,000 ლარს.

4. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შემდეგ ანგარიშზე:

ს.ს. ბანკი „რესპუბლიკას“ ცენტრალური ფილიალი,

ბანკის კოდი: REPLGE22

მიმღები: სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

IBAN: GE52BR0000010591718543

5. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება ქართულ ენაზე, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2014 წლის 24 ნოემბრის 13:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საკონკურსო კომისიის აპარატი.

6. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

7. საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით დამატებითი განმარტებების მიღება შესაძლებელია საკონკურსო კომისიის აპარატში - ტელ: +9953 2 37 80 12.

საკონკურსო პირობები

1. შესყიდვის ობიექტის აღწერა (ტექნიკური დავალება)

საკონკურსო პირობების თანახმად, შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქ. თბილისში მარშალ გელოვანის გამზირი N6-ში მდებარე სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი რიგი ორგანიზაციების ადმინისტრაციული შენობების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის (ლანდშაფტური დიზაინი, გარე განათება, პარკირების ნიშნულები, მოასფალტება) მიზნით შესაბამისი არქიტექტურული კონცეფციისა (პროექტის) და ესკიზის შედგენა.

გამარჯვებული კონკურსანტი ვალდებულია უზრუნველყოს ესკიზის შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია თითოეული საკადასტრო კოდისათვის წარმოდგენილი უნდა იქნეს ცალცალკე.

კონცეფციის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი:

საპროექტო ობიექტს წარმოადგენს ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე 4 დამოუკიდებელი შენობისაგან შემდგარი ტერიტორია, შემდეგი საკადასტრო მონაცემებით:

#1 ს/კ 01.10.10.022.176 (შენობა-ნაგებობა #1,4) - სამინისტროს ცენტრალური აპარატი;

#2 ს/კ 01.10.10.022.172 (შენობა-ნაგებობები 1,2,3,4,5) - სსიპ „ღვინის ეროვნული სააგენტო“;

#3 ს/კ 01.10.10.022.170 სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“

#4 ს/კ 01.10.10.022.165; 01.10.10.022.166 - შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია“

კონცეფციის ფარგლებში, თითოეული პოზიციით განსაზღვრული შენობა-ნაგებობისათვის შემუშავებული უნდა იქნეს იზოლირებული, შენობამდე დამოუკიდებლად მისასვლელი საავტომობილო გზა და ავტომანქანების განთავსების ადგილები. მათ შორის:

პოზიცია #1- ს.კ 01.10.10.022.176 (შენობა-ნაგებობა #1,4,5) - წარმოადგენს სამინისტროს ცენტრალური აპარატის შენობას, რომლის უკანა მხარეს უნდა მოეწყოს პარკინგი სამინისტროს ბალანსზე რიცხული 22 ერთეული ავტომანქანისათვის, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს წყლის დაგუბების საწინააღმდეგო ქანობები და გამწვანების ზოლის ირგვლივ უნდა მოეწყოს 50-60 სმ-იანი ღობე, ხოლო საკადასტრო კოდში მოქცეულ ტერიტორიაზე განთავსებული უნდა იქნეს პარკინგი სავარაუდოდ 130 ერთეული ავტომანქანისათვის. პროექტის ფარგლებში პარკირებისათვის ფართობი ათვისებული უნდა იქნეს მაქსიმალურად, ხოლო თავად პოზიციით განსაზღვრული ტერიტორია უნდა იყოს კეთილმოწყობილი და იზოლირებული სხვა ადმინისტრაციული შენობებისაგან შლაგბაუმებით. გამწვანების ზოლში უნდა განთავსდეს სკამები შესაბამისი განათებებით და არსებული ხე-მცენარეების საფარი მაქსიმალურად უნდა იქნეს შენარჩუნებული. ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული სტადიონის ტერიტორია მთლიანად ათვისებული უნდა იქნეს პარკირებისათვის.

ცენტრალური აპარატის შენობის წინა ტერიტორიაზე უნდა დაიგოს ასფალტის საფარი, მოეწყოს ბორდიურები და განაზღვდეს გარე განათების ნიშნულები.

პოზიციისთვის #2 ს/კ 01.10.10.022.172 (შენობა-ნაგებობები 1,2,3,4,5,6,7) და **პოზიციისთვის #3** ს/კ 01.10.10.022.170 (შენობა-ნაგებობა #1) დასაპროექტებელია შენობებამდე მისასვლელი გზები, შენობის ზედა მხარეს აღდგენილი უნდა იქნეს და გაფართოვდეს შენობამდე მისასვლელი საავტომობილო გზა. ტერიტორია უნდა იყოს კეთილმოწყობილი და იზოლირებული. პარკირების ადგილები გათვალისწინებული უნდა იქნეს სავარაუდოდ 30 ერთეული ავტომანქანისათვის.

#2 და #3 პოზიციით გათვალისწინებული ორგანიზაციების თანამშრომლებისა და ასევე სტუმრებისათვის ტერიტორიაზე შემოსასვლელი საავტომობილო გზა უნდა მოეწყოს იასამნის ქუჩიდან, რომლის დეტალური მონაცემები შეგიძლიათ იხილოთ ობიექტის ტოპოგრაფიულ რუკაზე.

მთელს ტერიტორიაზე განთავსებული უნდა იქნეს მაჩვენებლები შესაბამისი ორგანიზაციების მითითებით.

2. არქიტექტურული გადაწყვეტა მომზადებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის, არსებული სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების გათვალისწინებით.

3. დაინტერესებულ კონკურსანტებს, უფლება აქვთ ზემოაღნიშნული შენობა-ნაგებობები დაათვალიერონ მათი განთავსების ადგილზე.

4. კონკურსში მონაწილეობის საფასური.

4.1 კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შემდეგ ანგარიშზე:

ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა“-ს ცენტრალური ფილიალი,

ბანკის კოდი: REPLGE22

მიმღები: სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

IBAN: GE52BR0000010591718543

4.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

4.3 საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება.

4.4. 4.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

5. საკონკურსო წინადადების წარდგენა

5.1 საკონკურსო წინადადება წარდგენილი უნდა იქნეს არაუგვიანეს 2014 წლის 24 ნოემბრის 13:00 საათისა, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საკონკურსო კომისიის აპარატი.

5.2 საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნეს 2 დალუქული კონვერტით, მათ შორის:

5.2.1 ტექნიკური დოკუმენტაციის კონვერტი, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას და დოკუმენტაციას:

ა) ტექნიკური დავალების პირობების გათვალისწინებით შედგენილ კონცეფციასა და ესკიზებს ფერადად ამობეჭდილი სახით შესაბამისი ფორმატით;

ბ) ტექნიკური დავალების პირობების გათვალისწინებით შედგენილი კონცეფციასა და ესკიზების ელექტრონულ ვერსიას შესაბამისი ფორმატით;

გ) კონცეფციის განმარტებით ბარათს, რომელშიც განხილული იქნება არქიტექტურული გადაწყვეტის ძირითადი იდეა, პრინციპი, გამოყენებული მასალა და ა.შ. დასაბუთება უნდა იყოს მომზადებული კომპეტენციის მაღალი დონით და ეფუძნებოდეს თანამედროვე არქიტექტურის გამოცდილებას.

დ) ინფორმაციას მონაწილე კონკურსანტის მიერ 2011-2014 წლებში განხორციელებული არანაკლებ 1 მსგავსი პროექტის შესახებ, რომლის დასტურად წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ხელშეკრულება, დამკვეთის მიერ დამოწმებული მომსახურების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები გაწეული მომსახურების მითითებით, ასევე დამკვეთების საკონტაქტო რეკვიზიტები;

ე) ინფორმაციას მონაწილე კონკურსანტის მიერ 2011-2014 წლებში განხორციელებული საპროექტო მომსახურების შესახებ დანართი #1-ის შესაბამისად;

ვ) კონკურსანტის რეკვიზიტებს (დასახელება, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, ხელმძღვანელის თანამდებობას, სახელსა და გვარს, საკონტაქტო ტელეფონს, ელ ფოსტის მისამართს, საბანკო რეკვიზიტებს.)

ზ) საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.

თ) უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილ აფიდავიტს დანართი N2-ის შესაბამისად.

5.2.2 ფინანსური წინადადების კონვერტი, რომელშიც მითითებული უნდა იქნეს მე-8 პუნქტში მითითებული პირობების გათვალისწინებით გაანგარიშებული მომსახურების ღირებულება, ანგარიშსწორების პირობები და ვადები.

5.3 დალუქული საკონკურსო წინადადებების კონვერტების მარკირება უნდა შეიცავდეს:

ა) კონკურსის დასახელებას;

ბ) კონკურსანტის დასახელებას, ფაქტიურ მისამართს, უფლებამოსილი პირის თანამდებობას, სახელს, გვარს და საკონტაქტო ინფორმაციას.

5.4. საკონკურსო წინადადება და ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

5.5. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.

5.6. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

6. საკონკურსო წინადადების გახსნა და შერჩევა.

6.1. საკონკურსო წინადადებების გახსნა და შერჩევა განხორციელდება 2014 წლის 24 ნოემბერს 13:10 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მე-2 სართული, დარბაზი #207. კონკურსანტების თანდასწრებით.

6.2 საკონკურსო წინადადების გახსნისას პირველად გაიხსნება ტექნიკური დოკუმენტაციის კონვერტი, რომლის დროსაც დადგინდება კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობა წინამდებარე დოკუმენტაციის 5.2.1 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან. ფინანსური წინადადების კონვერტი გაიხსნება ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისა და შეფასების შემდეგ.

6.3 ტექნიკური წინადადებების განხილვის, შეფასებისა და ფინანსური წინადადებების გახსნის ვადები განისაზღვრება საკონკურსო კომისიის მიერ.

6.4 კონკურსანტს უფლება აქვს დაესწროს ფინანსური წინადადებების გახსნის პროცედურას.

6.5 კონკურსანტის წინადადება, რომელიც სრულად არ შეიცავს 5.2.1 პუნქტით მოთხოვნილ დოკუმენტაციას ექვემდებარება დისკვალიფიკაციას. დისკვალიფიცირებულ კონკურსანტებს ფინანსური წინადადება გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან.

6.6. კონკურსის შედეგები გამოცხადებული იქნება არაუგვიანეს 2014 წლის 27 ნოემბრისა.

6.7. მონაწილე პირების საკონკურსო წინადადება ძალაში უნდა იყოს გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმებამდე.

6.8. გამარჯვებული კონკურსანტის გარდა კონკურსზე წარმოდგენილი ყველა წინადადება კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

7. საკონკურსო წინადადების განხილვა და შეფასება.

7.1 საკონკურსო წინადადებების განხილვისას დადგინდება მათი შესაბამისობა ტექნიკური დავალების მოთხოვნებთან და განხორციელდება მათი შეფასება ქვემოთ მითითებული კრიტერიუმებისა და ამ კრიტერიუმების პრიორიტეტულობის კოეფიციენტების მიხედვით. შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით.

7.2 საკონკურსო წინადადებები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებითა და პრიორიტეტულობის კოეფიციენტებით:

#	შეფასების კრიტერიუმი	კოეფიციენტი
1	კონცეფციისა და ესკიზის შესაბამისობა ტექნიკური დავალების მოთხოვნებთან	0,3
2	კონკურსანტის გამოცდილება	0,3
3	წინადადების ფასი	0,4

7.3 კონკურსანტის წინადადება თავდაპირველად შეფასდება 7.2 პუნქტში მოცემული ცხრილის 1 და 2 შეფასების კრიტერიუმის მიხედვით (ტექნიკური ნაწილი) და დაანგარიშდება საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ შეფასებული ქულების საშუალო არითმეტიკული.

7.4. 7.3 პუნქტით განსაზღვრული პროცედურის შემდეგ გაიხსნება კონკურსანტთა ფინანსური წინადადება და ასევე შეფასდება ზემოაღნიშნული პრინციპით.

7.5 გამარჯვებულად ჩაითვლება იმ კონკურსანტის წინადადება, რომელიც ტექნიკური და ფინანსური ნაწილის შეფასების დაჯამების შედეგად დააგროვებს ყველაზე მაღალ ჯამურ ქულას.

8. კონკურსში მონაწილის საკონკურსო წინადადების ფასი უნდა მოიცავდეს:

ა) ესკიზის შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ღირებულებას;

ბ) ხარჯებს დაკავშირებულს საპროექტო ზედამხედველობასთან, რომელსაც კონკურსში გამარჯვებული შემდგომში განახორციელებს უსასყიდლოდ, სამშენებლო სამუშაოების ტენდერში გამოვლენილ შესაბამის მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების (თითოეული საკადასტრო კოდის მიხედვით) მოქმედების ვადის ამოწურვამდე;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა შესაბამის გადასახადს.

შენიშვნა: სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზას უზრუნველყოფს შემსყიდველი ორგანიზაცია. მიმწოდებელი ვალდებულია უსასყიდლოდ უზრუნველყოს ექსპერტიზის შედეგად დაფიქსირებული შენიშვნების გათვალისწინება წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში.

9. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების აუცილებელი პირობები

9.1 კონკურსში გამარჯვებულთან ხელშეკრულება გაფორმებული იქნება კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში.

9.2 შემსყიდველი უფლებას იტოვებს საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს მოწონებულ პროექტში რომლის ცვლილებებიც ავტორმა უნდა განახორციელოს უსასყიდლოდ.

9.3 ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეულ მომსახურებაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წინასწარ მოთხოვნილი თანხის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია.

9.4 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 35 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგს:

- ა) ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტს (პარკირების გათვალისწინებით);
- ბ) ვერტიკალური გეგმარების პროექტს;
- გ) გარე ელ.ქსელების (განათების) პროექტს (სანათების მითითებით);
- დ) დენდროლოგიურ პროექტს; (საჭიროების შემთხვევაში)
- ე) მშენებლობის ხარჯთაღრიცხვას თითოეული საკადასტრო კოდის მიხედვით;
- ვ) არქიტექტურული და კონსტრუქციული პროექტს მცირე არქიტექტურული მოცულობებისათვის; (საჭიროების შემთხვევაში)

10. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს კონკურსის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. „შემსყიდველი“ ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

ინფორმაცია 2011-2014 წლების განმავლობაში განხორციელებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესახებ

კონკურსანტის დასახელება _____

წელი	შესყიდვის ობიექტი	გაწეული მომსახურების მოკლე აღწერილობა	ხელშეკრულების ღირებულება	დამკვეთის დასახელება და რეკვიზიტები	შენიშვნა

კონკურსანტის წარმომადგენელი _____

(თანამდებობა, სახელი გვარი, ხელმოწერა)

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

- ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
- უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;
- ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
- ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;
- მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულია კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
 - საკონკურსო წინადადების ფასი;
 - საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
 - საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
 - ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული კონკურსის პირობებს;
 - შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება.

* საკონკურსო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე. გავცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.